

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ქსელი იმერეთსა და რაჭის რეგიონებში

მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება

1 შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე პრადის, ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი) მიერ, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან - „People in Need“ და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს იმერეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითადი რეგიონალური პროდუქტის წარმოების ქსელის (სისტემის) ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია, იმერეთის რეგიონში მცირე ფერმერთა თანამშრომლობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის ფარგლებში (ENPARD Georgia), როგორც მცირე ფერმერების თანამშრომლობის შემადგენელი ნაწილი.

კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ENPARD Georgia-ს დაფინანსებისა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს შემდეგი პროექტის გარეშე - „კოოპერატივების მხარდაჭერა იმერეთის რეგიონში, საქართველოში“.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითმა ჯგუფმა იხელმძღვანელა მიდგომით, რომელიც იძლევა ერთდროულად რამდენიმე საკითხის შესწავლის შესაძლებლობას. სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის შესაფასებლად განხორციელდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ტრიანგულაცია. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადგილობრივი რვა სექტორი, (ადგილობრივი ექსპერტებისა და ოფიციალურ პირებთან გამოკითხვის შედეგად), განხორციელდა შერჩეული სექტორების დეტალური კვლევა.

კვლევის მიზნებიდან და პროექტის დაფარვის ზონიდან გამომდინარე შეირჩა ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტები, სადაც მეტ-ნაკლებად გავრცელებულია მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება:

- ბაღდათი
- ხარაგაული
- ტყიბული

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:

- 2013 წლის ივლისი - წარმოების სისტემები რვა ძირითადი პროდუქტისათვის იმერეთის 11 მუნიციპალიტეტში;
- 2013 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი პროექტის

მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში;


- 2014 წლის მარტი-ივნისი - დანარჩენი პროდუქტებისთვის მონაცემების შეგროვება

ანალიზისთვის ძირითადად გამოყენებულ იქნა ფერმერთა ჯგუფის და ინფორმირებული პირების თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. კვლევის დიზაინი მიზნად ისახავდა სამიზნე ჯგუფების კონკრეტულ საკითხებთან და თემებთან მიმართებაში ქცევისა და აღქმის შკალის გამოვლენას. ნახევრადსტრუქტურული, ჩადრმავებული ინტერვიუს მეთოდი გამოყენებულ იქნა როგორც ძირითადი თვისებრივი კვლევის მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდა ისეთ პირებთან, რომლებიც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით უშუალოდ ფლობდნენ ინფორმაციასა და ცოდნას. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო 1,5-დან 2 საათამდე. რესპოდენტთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვი - დაწყებული მიმწოდებლებით, დამთავრებული ადგილობრივი ბაზრით. შედეგად დღის წესრიგში დადგა ისეთი რესპოდენტების იდენტიფიცირება და ინტერვიუების წარმოება, როგორებიც არიან: სხვადასხვა ზომის ფერმერები, შემგროვებლები, შუამავლები, გადამამუშავებლები, ადგილობრივ ბაზარზე მოვაჭრე გამყიდველები, ექსპორტიორები, ასევე აგრო-სამრეწველო მაღაზიები, რომლებიც ყიდიან თესლს, ნერგებს, სხვადასხვა სახეობის სამუშაო იარაღს, ტექნიკას, პესტიციდებს, ჰერბიციდებს, სასუქებს და სხვა ნაწარმს.

რძის და რძის პროდუქტების შესახებ სავსე მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- ინტერვიუები რძის მწარმოებელ ფერმერებთან;
- ინტერვიუები სამეურნეო ნაწარმის და საკვები პროდუქტების მიმწოდებლებთან;
- ადგილობრივი ბაზრის შესწავლა.

სურათი 1. მონაცემების შეგროვების წერტილების რუკა



- მწარმოებელი
- ადგილობრივი მაღაზია
- ფოკუს ჯგუფი
- ადგილობრივი ბაზარი

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს

ზოგად სურათს და იძლევა მონაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO-სა და EU-ს მიერ წარმოებულ კვლევებს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს კვლევებს (geostat.ge) და აშ.

კვლევის სამიზმე არეალი არის იმერთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონები, თუმცა კვლევაში მოყვანილი სტატისტიკური ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ იმერთის რეგიონს. მონაცემთა სიმცირის გამო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო არ ახდენს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში არსებული ინფორმაციის ასახვას.

3. მეფუტკრეობა როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

მეფუტკრეობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მცირე ფერმერთათვის შემოსავლისა და საარსებო წყაროს შექმნისათვის საჭირო აქტივობას წარმოადგენს რაიონებში, არამედ იმიტომაც, რომ იგი სხვა სასოფლო-სამეურნეო მარცვლეულის დამტვერვის საშუალებაცაა. როდესაც გარეული ფუტკრები სოფლის მეურნეობის მინდვრებს არ სტუმრობენ, ხშირად, ფერმერთათვის მარცვლეულის დამტვერვის ერთადერთ საშუალებას ფუტკრის სკები წარმოადგენს (მაგალითად, შეერთებულ შტატებში დამტვერვის სერვისები ბევრი პროფესიონალი მეფუტკრისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, განსაკუთრებით ნუშის დამტვერვის შემთხვევაში).


მსოფლიოში თაფლის წარმოება გლობალური მასშტაბით გაიზარდა და 2012 წლისთვის 1.5 მილიონ ტონას მიაღწია (FAO 2014). თაფლის 10 უდიდესი მწარმოებელია ჩინეთი (400 000 ტონა), თურქეთი და შეერთებული შტატები (თითოეულზე 80 000 ტონა მოდის), უკრაინა (70 000 ტონა), არგენტინა (60 000 ტონა), მექსიკა და ეთიოპია (55 000 ტონა), რუსეთი და ირანი (თითოეულზე 50 000 ტონა) და ინდოეთი (40 000) ტონა. ევროკავშირის ქვეყნები თაფლის წარმოების თვითუზრუნველყოფას ვერ ახდენს. მისი თვითუზრუნველყოფის წილი 2010 წელს 62.0 % იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირში ყოველწლიურად მოხმარებული თაფლის დაახლოებით 40 % იმპორტირებულია (EC 2003).

ფუტკრის სკებისა და თაფლის პროდუქციის რაოდენობა მკვეთრად იზრდება აზიაში, მაშინ როდესაც შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში ამ მხრივ სტაგნაცია შეინიშნება, ან თაფლის წარმოება სულ უფრო მცირდება, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ფუტკრის ჯგუფები იღუპება. მთავარ საფრთხეებს, ნაწილობრივ, წარმოადგენს შიმშილით დაღუპვა, პათოგენების თავდასხმა, სხვა სახეობების მიერ ხელყოფა, საკვების უკმარისობა, მაგრამ ძირითადად, ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები - პესტიციდების გამოყენება, გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეები და გარემო პირობების ცვლილებები (მაგ. საცხოვრებელი ადგილის მოშლა და დანაკარგი).


საქართველოში მეფუტკრეობა წარმოადგენს ეკონომიკის მზარდ სექტორს. კლიმატური პირობების შეცვლისა და პარადოქსულია, მაგრამ სოფლის მეურნეობის გამდიდრებისა და განვითარების დაბალი საფეხურის, ასევე, შენარჩუნებული და

გამრავალფეროვნებული გარემო პირობების წყალობით, თაფლის წარმოება და ექსპორტი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ძალზედ დამაიმედებელ სექტორს. FAOSTAT-ის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით ფუტკრის სკების რაოდენობა სამზე მეტჯერ გაიზარდა (დიაგრამა 1) 2006 წლიდან მოყოლებული, რაც ოთხჯერ უფრო მეტი წარმოების მაჩვენებელია (დიაგრამა 2).

დიაგრამა 1 - ფუტკრის სკების რაოდენობა საქართველოში (ათასი სკა)¹



დიაგრამა 2 - თაფლის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა)²




სტატისტიკური ინფორმაცია ცხადყოფს, რომ თაფლის წარმოების ყველაზე მაღალი ზრდა

¹ http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka&px_tableid=Database%5cAgriculture%5cAnimal+Husbandry%5cTABLE_3.02-13.px&layout=tableViewLayout1


² http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka&px_tableid=Database%5cAgriculture%5cAnimal+Husbandry%5cTABLE_3.15-27.px&layout=tableViewLayout1

დაფიქსირებულია სამეგრელო ზემო სვანეთში. დიაგრამა 3 -ზე წარმოდგენილია ფუტკრის სკების რაოდენობა ხოლო დიაგრამა 4-ზე თავლის წარმოების მოცულობა. სამწუხაროდ იმერეთში ფუტკრის სკების რაოდენობაც და თავლის არმოების რაოდენობაც კლებადი ტენდენციით ხასიათდება.

დიაგრამა 3 ფუტკრის სკების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (ათასი სკა)³



დიაგრამა 4 - თავლის წარმოების მოცულობა რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)



³ http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=en&px_tableid=Database%5cAgriculture%5cAnimal+Husbandry%5cTABLE_3.02-13.px&layout=tableViewLayout1

4 თაფლის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში

4.1 წარმოების სისტემები

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით დაფიქსირდა კლება, თაფლის წარმოება იმერეთის რეგიონში კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობს. თაფლის ძირითად მწარმოებელ რაიონებად დადგინდა ბაღდათი, სადაც ფერმერების 20 % აწარმოებს 250 ტონა თაფლს, რაც მთლიანი რაიონის ტოტალურ რაოდენობას შეადგენს; ტყიბული, სადაც ფერმერთა 5 % აწარმოებს თაფლს და 4 000 ტონა ფუტკრის ნაყარს; ასევე, ხარაგაული. აღსანიშნავია ხონი, სადაც ყველაზე დიდი ოდენობაა სკების იმერეთის რეგიონში, ასევე



სურათი 1 - ტიპური მცირე ზომის თაფლის წარმოება

ასევე წყალტუბოს ზედა ზონა და თერჯოლა.


გარდა ამისა, ბაღდათის ფერმერთა დიდი ნაწილი თაფლს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს. თითო ფერმერზე შეიძლება ნავარაუდები იყოს საშუალოდ 50-დან 240-მდე ფუტკრის სკა. ზოგადად, მხოლოდ რამდენიმე პროფესიონალი მეფუტკრეა, რადგან მეფუტკრეობა მიჩნეულია არამძირითად საქმიანობად, თუმცა, განსხვავება არაპროფესიონალ და პროფესიონალ მეფუტკრეებს შორის საკამათო საკითხს წარმოადგენს. საქართველოში 100 სკის

მფლობელი მიჩნეულია მსხვილ და პროფესიონალ მწარმოებლად. იმერეთში ორი, თუ სამი ფერმერია, რომლებსაც 1000-ზე მეტი სკა აქვთ.

მეფუტკრეებისთვის ყველაზე კრიტიკულ (საკვანძო) საკითხს წარმოადგენს სეზონური მიგრაცია. წლის განმავლობაში ფერმერებმა სხვა ადგილებში გადაადგილება უნდა მოახდინონ. ასეთ შემთხვევებში სკები დაბლობებიდან (მაგალითად ტყიბულში), სადაც ზამთარში ინახავენ, გადააქვთ მაღალმთიან რაიონში (მაგ. რაჭაში) ზაფხულში. სკების ერთდროულად განთავსება შესაძლებელია 2-3 ადგილას. მიზეზს კი ყვავილების მრავალფეროვნება და სხვადასხვა მცენარეთა შემადგენლობა წარმოადგენს. თაფლის ხარისხი და ფერიც ადგილმდებარეობის მიხედვით განსხვავდება. მიწის ნაკვეთის საშუალო სიდიდე ერთ სულ ფერმერზე 0.62 ჰექტარით განისაზღვრება.

მეფუტკრეობის გარდა, ფერმერებს მოყავთ ყურძენი, ხორბლეული, მარცვლეული, სიმინდი, ლობიო, აწარმოებენ მსხილფეხა, თუ წვრილფეხა საქონლის ნაწარმს, ნაწილობრივ - ჩაის. ჩამოთვლილთაგან გასაყიდად მხოლოდ მსხილფეხა, თუ წვრილფეხა საქონლის ნაწარმი (ხორცი, რძე, ყველი) და ჩაი გააქვთ. სხვა პროდუქტი კი საოჯახო მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. მაღალი ზონის მეფუტკრეები უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ პირუტყვი საქონლის მოშენებასა და მარცვლეულის მოყვანაზე.

დიაგრამა 5. ძირითადი პროდუქტები, რომლებსაც თაფლთან ერთად აწარმოებენ



პირუტყვი საქონლის მოშენებასა და მარცვლეულის მოყვანაზე. თანმიმდევრობით: ლობიო, სიმინდი, ყურძენი, თაფლი, მეცხოველეობა, მეღორეობა, კენკროვანები მცირე ფერმერებისთვისაც კი. მეფუტკრეობა ოჯახის შემოსავლის ერთადერთ, ან ძირითად წყაროს წარმოადგენს. რესპოდენტთა განცხადებით, ოჯახისთვის მეფუტკრეობიდან მიღებული შემოსავლის საშუალო წილი 70 % შეადგენს. ოჯახი მონაწილეობას იღებს სკების შენახვასა და თაფლის წარმოებაში. ფუტკრის ტიპური ადგილობრივი სახეობაა „კავკასიის მთის ნაცრისფერი ფუტკარი“

(*Apis mellifera caucasica*), რომელსაც სავარაუდოდ, თაფლის დიდი რაოდენობით წარმოების ლეგენდარული უნარი აქვს, ცივი ამინდისა და ცუდი პირობების მიუხედავად (Corso M. 2013). ესენია დასავლეთის ფუტკრის ქვე-ჯიშები, რომლებსაც რამდენიმე რეგიონალური სუბ-ტიპები გააჩნია.

4.2 პროდუქტიულობა

მეფუტკრეობისთვის მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამინდი ძლიერ ზეგავლენას ახდენს ფლორაზე, ფუტკრის ქცევებსა, თუ ქმედებებზე, რითიც აიხსნება თაფლის წარმოების არამდგრადობა წლებისა და სეზონების მიხედვით. საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, თითო სკიდან ყოველწლიურად დაახლოებით 15 კილოგრამ თაფლს იღებენ. ზოგი მეფუტკრის მტკიცებით, ოპტიმალური ამინდის პირობებში, შეუძლიათ ერთი სკიდან 50 კგ-მდე თაფლის მიღება ყოველწლიურად. თუ შევადარებთ ევროკავშირის ქვეყნებთან - მაგ. ფერმერები პოლონეთში თითო სკიდან 9 კგ. თაფლს იღებენ, გერმანიაში - 34 კგ.-ს, შვედეთში 31 კგ.-ს (FAO). დიდი განსხვავება დაკავშირებულია კლიმატურ პირობებთან, ნექტარის ხარისხთან, ფუტკრის ჯგუფების რაოდენობასა და კომპაქტურობასთან, ასევე, თითოეულ რეგიონში წარმოებული სკების განსხვავებულ ზომასა და ფორმასთან.


არსებობს თავლის წარმოების 3 სეზონი - მაისი, ივნისი და ოქტომბერი. მეორე სეზონი ყველაზე პროდუქტიულია. ფერმერები წინა სეზონიდან თავლის ნაწილს სკაში ტოვებენ ზამთარში გამოსაკვებად. საშუალოდ ფერმერზე წლიურად დაახლოებით 1.5-დან 4 ტონამდე წარმოებული თავლი მოდის. ფერმერები ძირითადად იყენებენ ტრადიციულად ვერტიკალურად განთავსებულ სკებს მოძრავი ჩარჩოებით, ე.წ. Langstroth-ის სახეობის სკების მსგავსად, რომლებიც აიოლებენ სკების მოვლას და დაავადებებისგან დაცვას და ასევე, გამორიცხავენ მიღებული თავლის დაზიანების რისკს. ამ ტიპის სკები, ჰორიზონტალურად განლაგებულ სკებთან შედარებით, ჩვეულებრივ, მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა. ზოგ ფერმერს აქვს მარტივი მოწყობილობები სათადარიგო ნაწილების (ძირითადად ხის ჩარჩოების) საწარმოებლად, რომლებსაც ყიდიან უშუალოდ სხვა ფერმერებზე, ან მეფუტკრეობისათვის საჭირო ხელსაწყოებითა და მასალით მოვაჭრე ადგილობრივ მაღაზიებში. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ, პროექტის განხორციელებისა და განვითარების ფარგლებში, ზოგ ფერმერს წინასწარ დაურიგა აპარატურა-მოწყობილობები. ზოგი ფერმერი განსაკუთრებული მეთოდებით აწარმოებს ექსპერიმენტებს და აწყობს სპეციალურ სკებს დედა ფუტკრებისთვის.

სკების მენეჯმენტი, კვება და მიგრაციული პირობები, ასევე, სანიტარული მოვლა, მნიშვნელოვანია იმერეთის რეგიონში. ფერმერებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ არასათანადო სანიტარული მოვლა ფუტკრის ჯგუფებში, სხვა საფრთხეებთან ერთად, ზეგავლენას ახდენს პათოგენური დაავადებების (ბაქტერიები, პარაზიტები, ვირუსები) რისკის დონის ზრდაზე. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შესაბამისი სერვისები და თანამედროვე ტექნოლოგიები არ არსებობს. გარდა ამისა, უმეტესმა რესპოდენტმა

კვლევისას წარმოების გაფართოების გეგმებიც ახსენა. მათი გეგმები გულისხმობს ინტენსიფიკაციის მეშვეობით, ძირითადად, ახალი სკების შექმნასა და დედა ფუტკრების გამოყვანას. ამჯერად სამიზნე ფუტკრის სახეობა არ არის შერჩეული. სამიზნე სახეობა გამოყენებულ უნდა იქნას თავლის მწარმოებელი ფუტკრის სხვადასხვა ჯიშის მოსაშენებლად, რომელსაც მეფუტკრე ფერმერისთვის ხელსაყრელი სასარგებლო თვისებები ექნება, ასე მაგალითად - დაავადებებისა და ბაქტერიების მიმართ მაღალი გამძლეობა, კარგი თავლის წარმოება, ნაყოფიერი ჯიშები და დაბალი აგრესიულობა.

4.3 იმერეთისათვის დამახასიათებელი წარმოების ჯაჭვი

სქემა 1- თაფლის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთის და რაჭის რეგიონებში



თაფლის წარმოების ქსელი (სისტემა) ძალზე მარტივი და მოკლეა, რადგან მასში მხოლოდ რამდენიმე მონაწილეა ჩართული. თაფლის მიყიდვა ხდება უშუალოდ მომხმარებელზე, ან შუამავლებისთვის ბითუმად რომლებიც თავის მხრივ, მას საქართველოში, ან საზღვარგარეთ ყიდნიან. არანაირი დამატებითი სამრეწველო დამუშავება, ან შეფუთვა არ ხდება. თაფლის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა მიდის სოფლის ადგილობრივ მარკეტებში, რაიონებსა თუ ქალაქებში, სადაც მას პლასტიკურ, ან მინის ქილებში ჩვეულებრივ 100-500გ - იანი შეფუთვით ყიდნიან. ფერმერები ერთდროულად, სხვადასხვა



სურათი 2 - თაფლის დახლი ადგილობრივ ბაზარში

სახეობის (ყვავილების სახეობისა დამდებარეობის მიხედვით განსხვავებული ფერის) თაფლს ყიდნიან. იმერეთში თაფლის მხოლოდ 4-5 მწარმოებელი ყიდის შეფუთულ თაფლს ბითუმად დიდ მაღაზიებსა, თუ მცირე მარკეტებში. მთელს ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე მეწარმეა, რომლებიც საჭირო ხარისხისა და რაოდენობის თაფლს აწარმოებენ, რაც მათ საშუალებას უქმნის, მოამარაგონ საერთაშორისო

სუპერმარკეტების ქსელი საქართველოში. ძირითად სავაჭრო საშუალებას მომხმარებლებისთვის იმერეთში წარმოადგენს თაფლის შექმნა უშუალოდ ფერმერთა სახლიდან, სადაც ფერმერები ჩვეულებრივ, მყიდველების მიერ მიტანილ სხვადასხვა ქილებში ჩასხმულ თაფლს ყიდნიან.

თაფლის წარმოება (ასევე, ფუტკრის სხვა პროდუქტი) უმეტეს შემთხვევაში, შენარჩუნებულია ბითუმად ვაჭრობისა, თუ აზერბაიჯანსა და თურქეთში წარმოებული ექსპორტის წყალობით. ზოგი ფერმერი თაფლს თვითონ ყიდის (ზოგიერთი თურქი მყიდველი ვაგონებით დატვირთული სატვირთო მანქანებით პირდაპირ ფერმერებთან მიდის), უმრავლესობა კი სარგებლობს შუამავლების მომსახურებით (ხანდახან ქართველი და თურქი შუამავლები ერთდროულად არიან ჩართულნი), რომლებიც ჩვეულებრივ თაფლის ტოტალურ რაოდენობას -- 5-6 ტონას ყიდიან. აზერბაიჯანელი მყიდველები, წესისამებრ, უფრო მცირე ოდენობის თაფლს ყიდულობენ (ფერმერები მათ აზერბაიჯანელ ტურისტებს უწოდებენ), მაშინ, როდესაც თურქები ბითუმად ვაჭრობენ. ისინი ტრანსპორტირებისათვის იყენებენ 10-20 კგ-იან პლასტიკურ ხუფიან კონტეინერებს და თაფლი სხვა პროდუქტთან ერთად სატვირთო ვაგონებით გადააქვთ. მხოლოდ მინიმალური, არასტაბილური რაოდენობა მიემართება საექსპორტოდ რუსეთში. ზოგიერთ ფერმერს თაფლი ბათუმში, ან თურქეთის მოსაზღვრე სხვა პატარა ქალაქებში გადააქვს იმ მიზნით, რომ საკუთარი ნაწარმის რეალიზაცია თავად მოახდინოს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის წარმოება არალეგალურია, რადგან ქართულ თაფლს საექსპორტოდ პროდუქტის ხარისხის შესაბამისი სერთიფიკატი არ გააჩნია. მაგალითად, თურქეთს ნებადართული აქვს 1000-მდე ტონა ქართული თაფლის იმპორტი, თუმცა მხოლოდ ხარისხის შესაბამისი სერთიფიკატის არსებობის შემთხვევაში. ამიტომ, თაფლზე მოთხოვნა და შესაბამისად მისი ფასიც დამოკიდებულია აზერბაიჯანისა და თურქეთის მოთხოვნაზე. ეს ფაქტი კი თაფლის წარმოების მთლიან სექტორს არამდგრადსა და არასტაბილურს ხდის.


ზოგი რესპოდენტი თაფლს სახელმწიფო სააგენტოებსა და ქართულ არმიაზე გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე ყიდდა. თუმცა, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოთხოვნების სტაბილურობასა და საიმედოობასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობდა.

4.4 პროდუქციის ფასები

საერთაშორისო სტატისტიკური მაჩვენებლით, პროდუქციის ფასი საქართველოში შეადგენს 6.81 აშშ დოლარს/კგ (12 ქართულ ლარს). რესპოდენტები ჩვეულებრივ ასახელებდნენ 8-15 ლარს, აქედან დაბალი ფასი მიესადაგება 100-300კგ თაფლის ერთდროულად შესყიდვის შემთხვევებს, ხოლო მაღალი - მცირე ოდენობით შესყიდვებს. მეზობელ ქვეყნებთან - თურქეთს, ირანსა, თუ სომხეთთან შედარებით ფასი

კონკურენტულია. (იხილეთ სქემა 4). მიუხედავად ამისა, უკრაინასთან, ან უფრო განვითარებული სოფლის მეურნეობის სექტორის მქონე ქვეყნებთან შედარებით, ფასი ძალიან მაღალია. ევროკავშირში იმპორტის ფასები შეადგენს USD/კგ-ს (EC 2013). რამდენიმე რესპოდენტმა კი დაასახელა წარმოების მაღალი ფასი პოტენციური ზრდისა და ექსპორტის წარმოების ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორად. საზღვარგარეთიდან არასტაბილური მოთხოვნის გამო, თაფლის ფასი ძალზე მერყეობდა გასულ რამდენიმე წელიწადში.

დიაგრამა 6 - თაფლის მწარმოებლის ფასი USD/ტონა (მონაცემთა წყარო: FAO, 2013)



ფერმერები ცდილობენ, ერთი სახეობის ყვავილისგან დამზადებული თაფლისთვის უკეთესი ფასები შეიმუშაონ. თუმცა, ამგვარი თაფლი ჩვეულებრივ, უფრო ძვირია, ვიდრე - მრავალი ყვავილის ნექტარისგან დამზადებული. საქართველოში ეტიკეტირების უქონლობისა და მომხმარებელთა მხრიდან უპირატესობების არარსებობის გამო, მათ ფასებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ შეინიშნება.

ბოლო პერიოდში, სულ უფრო მეტი ფერმერი ამახვილებს ყურადღებას მეფუტკრეობის სხვა ალტერნატიულ პროდუქტზეც, როგორებიცაა დედა ფუტკრების მოშენება, ფიჭა, ცვილი, რასაც მაღალი ფასი აქვს და მოგებაც მოაქვს. ეს საკითხები უფრო დაწვრილებით მიმოიხილება 5.3 თავში.


5 კონკურენტუნარიანობის აღმასის მოდელი - რესურსების პირობები, მოთხოვნის პირობები, მონათესავე სექტორები, კონტექსტი

4.1 წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება-უზრუნველყოფა

მეფუტკრე ფერმერებისთვის წარმოების ყველაზე მნიშვნელოვან მარაგს წარმოადგენს ხის ჩარჩოები, დედა ფუტკრები, აპარატურა-მოწყობილობები, ხელსაწყოები, ფიჭა, შაქარი და ვეტერინარული მედიკამენტები. ხის ჩარჩოები ყველაზე საჭირო ნივთებია სკების გადასაწყობად. რესპოდენტი ფერმერები, რომლებიც მეორად პროდუქციასაც აწარმოებენ, აგრეთვე სჭირდებათ სასუქი და მარცვლეული.

არსებობს რამდენიმე ადგილობრივი მაღაზია, რომლებიც ფერმერებს ძირითადი საქონლით უზრუნველყოფენ (დანართში იხილეთ დამატებითი ფოტო, რომელზეც ასახულია ხელმისაწვდომი აღჭურვილობა). რეგიონის მთავარ ქალაქ ქუთაისში

დიაგრამა 7 - მეფუტკრეების მიერ შეძენილი ძირითადი აღჭურვილობასკები, პრეპარატები, ქიმიკატები, ფიჭები, შაქარი, ვეტერინარული მომსახურება



არსებობს სამი სპეციალიზებული მაღაზია. რაიონის ზოგიერთ მაღაზიასა, თუ ბაზარშიც იყიდება ძირითადი აღჭურვილობა. თუმცა შეძენილი ხელსაწყოებისა და მედიკამენტების ხარისხი ფერმერების მხრიდან კითხვის ნიშნის ქვეშ არაერთხელ მოექცა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთი რესპოდენტი სამეწარმეო ნივთებს უშუალოდ თურქი პროვაიდერებისგან, ან თბილისში იძენს. მათი მტკიცებით, ასეთ შემთხვევაში ხარისხი უკეთესია, ხოლო ფასი - დაბალი.

5.2 მოთხოვნა

ფერმერთა უმრავლესობა ადგილობრივ ბაზრებზე კლასიკურ საცალო ვაჭრობას არ ეწევა. ისინი მხოლოდ საკუთარ მეურნეობაში, ან სახლიდან ყიდიან წარმოებულ თაფლს. საცალოდ ვაჭრობის ოფიციალური სამთავრობო ლიცენზიისა და ხარისხის სტანდარტები ითვლება, როგორც არასასურველი და დამაბრკოლებელი გარემოება. თაფლის ხარისხის ლაბორატორიული ანალიზი ხელმისაწვდომიც რომ იყოს, ფერმერები შიშობენ, რომ ლაბორატორიული ხარჯები შეზღუდავს რეგისტრაციასა და ლიცენზიის საკითხებთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ხარისხის საკითხების გარდა, საცალო ვაჭრობაზე ოფიციალური ნებართვის გაცემა მოითხოვს რეგისტრაციასა და საქონელბრუნვასთან და საკუთრებასთან დაკავშირებულ გადასახადებს (ბეგარას), რაც ასევე მიჩნეულია დიდ დაბრკოლებად. ამიტომ, შეფუთვა და მარკეტინგი მათთვის

მნიშვნელოვან საკითხს არ წარმოადგენს. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ გაუმჯობესებულ შეფუთვას, შესაძლოა, გაეზარდა გაყიდული ნაწარმის რაოდენობა და მომგებიანობაც. იმერეთში, ზოგი ფერმერი შესაძლებლობას ხედავს ადგილობრივ ტურისტულ მაღაზიებში, (რომლებიც გამოქვაბულებთან, ციხესიმაგრეებთან, მონასტრებთან მდებარეობს). თუმცა გაუმჯობესებული მარკეტინგის იდეა ბუნდოვანია. გარდა ამისა, ყველაზე მეტად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურის მქონე ადგილებშიც კი არ არიან მზად, რათა ტურისტებისთვის შესაფერისი, ადგილობრივი პროდუქციის მარკეტინგი აწარმოონ.

თითქმის არ არსებობს დიდი სუპერმარკეტების ქსელი რეგიონის უდიდეს ქალაქ ქუთაისში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ფერმერი ირწმუნება, რომ შეეცადნენ ბათუმისა და თბილისის რამდენიმე სუპერმარკეტთან მოლაპარაკებას, მაგრამ მათ თაფლის გაყიდვის

ნება არ დართეს, ხარისხის მაჩვენებელი სერტიფიკატის უქონლობის გამო. საცალოდ ვაჭრობასთან დაკავშირებით ხარისხის ლიცენზიის ბარიერის არსებობასთან ერთად ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი დიდი მაღაზიები და სუპერმარკეტები ბათუმდსა და თბილისში ყიდიან ირანიდან შემოტანილ თაფლს, რომელიც ძალიან იაფია. ფერმერები ამტკიცებენ, რომ ფასთან ერთად მისი ხარისხიც დაბალია. სწორედ ეს წარმოადგენს მთავარ მიზეზს იმისა, რომ ისინი შემოტანილ თაფლთან კონკურენციას ვერ ახერხებენ.

სამრეწველო თაფლის ბაზარი იმერეთსა და მთელს საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. სამრეწველო თაფლის გასაღების ბაზარი, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო დაბალი ხარისხის თაფლისთვის არის განკუთვნილი. ამგვარი ნაწარმი სრულად ვერ აკმაყოფილებს სუფრის თაფლის ყველა კრიტერიუმს, მაგ. Hydroxymethylfurfur-ის (HMF) შემადგენლობა შესაძლებელია, უფრო მაღლი იყოს ვიდრე - 40 მგ/კგ. ამგვარი თაფლი კვების მაღალი სტანდარტების მქონე ქვეყნებში მაინც მოიხმარება კვების მრეწელობაში, საცხოვრებში, საკონდიტრო ნაწარმში, საუზმის ფაფებისა და სოუსების მოსამზადებლად, თამბაქოს ნაწარმში, თაფლში ამოვლებული მოხალული თხილისა და ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებლად.

თაფლი ქართული ტრადიციული სამზარეულოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იგი გამოიყენება მრავალი სხვადასხვა ნამცხვრისა, თუ ტკბილეულის მოსამზადებლად ბავშვებისთვის. წელიწადში, ქართული ოჯახი საშუალოდ დაახლოებით 2-5 კგ-მდე თაფლს მოიხმარს. ადგილობრივ ბაზარზე აგრეთვე, ჩნდება თაფლის მოხმარების ახალი ტენდენციები, როგორებიცაა ხილთან, თხილთან, ან ჩვეულებრივ ზეთთან შერეული თაფლი. ახალი პოტენციალის პოვნა - ამგვარი მარტივი დამუშავების მეშვეობით დამატებითი ღირებულების მინიჭება შეიძლება აღმოჩნდეს წინგადადგმული ნაბიჯი იმისათვის, რომ თაფლი მომგებიან ბიზნესად იქცეს. ზოგი ფერმერი იზიარებს ასეთ მიდგომას და უკვე ახორციელებს ამგვარ ექსპერიმენტებს. სპეციალური ნიშას მქონე თაფლის პროდუქტების - მუქი თაფლი, სამეფო თაფლი, თაფლი ყვავილის მტვრით, ან მრავალი სხვადასხვა ყვავილის ნექტარისგან წარმოებული თაფლის - ბაზარი არ არის განვითარებული და ამ მხრივ, დამატებით საჭიროებს მომხმარებელთა ცოდნის ამაღლებასა და უპირატესობების ჩამოყალიბებას.

5.3 მონათესავე სექტორები

იმერეთში რამდენიმე ფერმერმა თაფლის წარმოების დივერსიფიკაცია მოახდინა და ამჟამად მსგავს პროდუქციას აწარმოებს. ამგვარი პროდუქციის წარმოების მნიშვნელობა საქართველოში უჩვეულოდ მნიშვნელოვანია იმ ფაქტის წყალობით, რომ მიუხედავად იმისა, მეფუტკრეობა დიდი ხნის ტრადიციას წარმოადგენს, თაფლის ბაზარი ჯერ კიდევ არ არის განვითარებული.

მაგალითად, არსებობს რამდენიმე მეფუტკრე მეურნე, რომლებმაც დაიწყეს ფიჭის წარმოება. ისინი საკუთარ პროდუქციას ადგილობრივ მაღაზიებში (ერთ-ერთი მაღაზია ქუთაისში ფიჭის მწარმოებლის საკუთრებაშია), ან უშუალოდ სხვა

მეფუტკრეებზე ყიდიან. პატარა სოჯახო ბიზნესის წარმოებას შეუძლია წელიწადში დაახლოებით 4-7 ტონა ფიჭის მიღება (იხილეთ სურათი 4) და დასაქმება საწარმოში 1-2 ადამიანის დასაქმება. სეზონზე დასაქმებულთა რიცხვი შესაძლოა 5-6-მდე გაიზარდოს. ისინი ძირითადად იმავე სოფლის მაცხოვრებლები არიან. იმერეთში ერთმანეთის კონკურენტი მხოლოდ 2-3 ფიჭის მწარმოებელია, ხოლო მთელს საქართველოში - დაახლოებით 10.

რამდენიმე მეწარმემ ბოლო პერიოდში დაიწყო დედა ფუტკრების გამრავლება და გაყიდვა. ეს ახალი ბიზნეს-შესაძლებლობა თაფლის წარმოებას მხოლოდ მეორად საქმიანობად აქცევს. მეწარმეებს დედა ფუტკრები სპეციალურ ხელით-ნაკეთ სკებში ჰყავთ. თითოეული ფერმერის სკა ერთმანეთისგან განსხვავებულია. მეწარმეები ცდილობენ, სხვადასხვა მეთოდით წარმოებული ექსპერიმენტების მეშვეობით შეიმუშაონ დედა ფუტკრების მოშენების ტექნიკა. წელიწადში შესაძლებელია 1500-მდე დედა ფუტკრის მოშენება. ზოგი დედა ფუტკარი ადგილობრივი ბაზრისთვის არის გამიზნული, ხოლო მათგან საუკეთესო, შუამავლების მეშვეობით თურქეთში, ან აზერბაიჯანში გადის. თურქეთის საზღვარზე არსებობს რამდენიმე ადგილი სადაც ქართველი მეწარმეები და თურქი მყიდველები ვაჭრობენ. თუმცა დედა ფუტკრების, ისევე როგორც თაფლის ექსპორტი, არალეგალურია. წარმოება ძალიან მომგებიანია, როდესაც თითოეული მათგანის ფასი 10 - 11 აშშ დოლარს შეადგენს. თურქეთში დედა ფუტკრები ძალზე პოპულარობით სარგებლობენ, მათი თურქულ სახეობებთან შეჯვარების შედეგად მიღებული ეფექტის გამო. სხვა მხრივ კი, საზღვარზე ფუტკრით უნებართვო ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისოდ აღიარებული რეგულაციების მიხედვით, სხვა ჯიშების იმპორტმა შესაძლებელია, საფრთხე შეუქმნას ადგილობრივი სახეობების თვისობრივი მახასიათებლების შენარჩუნებას. ცოცხალი ფუტკრით ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებში მკაცრად არის რეგულირებული.

ზოგი ფერმერი დამატებით შემოსავალს იღებს ხის სკებისა და ცარიელი ჩარჩოების წარმოებით. ისინი საკუთარ ნაწარმს ყიდიან უშუალოდ სხვა ფერმერებზე, ან ადგილობრივი მაღაზიების მეშვეობით ქუთაისში. ჩარჩოების დასამუშავებლად და ასაწყობად მათ სჭირდებათ სპეციალური დანადგარები. ზოგიერთი მათგანის რეალიზაცია მოხდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების პროექტების ჩარჩოებში.

არსებობს, აგრეთვე, სხვა მარგინალური პროდუქტები, რომლის წარმოებას და ბაზარზე გაყიდვასაც ცდილობენ ფერმერები, ესენია:

სამეფო ჟელე - გამომუშავდება მუშა ფუტკრის ყელზე მდებარე ჯირკვლებში. ეს არის მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტი, რომელიც სხვა ნივთიერებებთან ერთად შეიცავს ნახჭირწყლებს, B-ვიტამინს, შაქარსა და წყალს. იგი ფართოდ გამოიყენება ნატუროპათიის (დაავადების ბუნებრივი გზით მკურნალობა მედიკამენტებისა და ქირურგიული ჩარევის გარეშე) დროს, მისი ძლიერი ეფექტისა და ანტიდეპრესანტული თვისებების გამო. ფერმერები სამეფო ჟელეს აწარმოებენ აზერბაიჯანელი და თურქი

მყიდველების მოთხოვნის საფუძველზე.

თაფლის ცვილი - გამოიმუშავდება მუშა ფუტკრის ჯირკვლებიდან და საყოველთაოდ გამოიყენება კოსმეტიკის, ფარმაცევტიული პროდუქციისა და სანთლის დასამზადებლად. ზოგიერთი ფერმერი იმერეთში ექსპერიმენტის სახით ამზადებს კოსმეტიკას და სანთლებს. თუმცა ასეთ შემთხვევები თითქმის არ აღინიშნება.

პროპოლისი - ხის ფისი, შეიცავს ბაქტერიებისა და სხვა მიკროორგანიზმების დამორგუნველ კომპონენტებს და ფართოდ არის აღიარებული მისი ანტი-ბაქტერიული, ანტი-ვირუსული და სოკოს საწინააღმდეგო თვისებების გამო. იგი მსოფლიოში გამოიყენება გარეგანი და შინაგანი მოხმარებისათვის ნატუროპათიის დროს. ზოგიერთი ადგილობრივი ფერმერი მას სპირტს ურევს.

ყვავილის მტვერი - ყვავილის სამტვერე. ეს არის მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტი, რომელიც შეიცავს პროტეინს, ამინომჟავასა და B-ვიტამინს. იგი იყიდება როგორც საკვები დანამატი.

5.4 კონკურენცია

ყველა რესპოდენტი მიიჩნევს მთავარ კონკურენტულ პროდუქტად ირანიდან შემოტანილ თაფლს. მათი მტკიცებით, ირანული თაფლი იმდენად იაფად იყიდება, რომ ისინი ვერ უწევენ კონკურენციას ადგილობრივ ქართულ ბაზარზე. ისინი მათივე წარმოებულ 100%-იან ჯანსაღ პროდუქტთან შედარებით, ირანული თაფლის დაბალ ხარისხს (ძირითადად დამატებული აქვს წყალი და შაქარი) აღიქვამენ, როგორც უსამართლო, არაკეთილსინდისიერ მოპყრობას. ამიტომ, მეფუტკრე ფერმერები მთავრობისგან იმპორტირებული ნაწარმის მკაცრ სტანდარტებსა და ლაბორატორიულ შემოწმებას მოითხოვენ. ამგვარი ზომები, შესაძლებელია, დაეხმაროს მათ კონკურენტუნარიანობას ქართულ ბაზარზე

6 სტრატეგიული პროდუქტიულობა და ხარისხი

6.1 თაფლი - კვების უსაფრთხოებასთან და ხარისხთან მიმართებაში

მთავარ გამოწვევას ადგილობრივი საცალო ვაჭრობისა და სუპერმარკეტების ქსელებში, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქციის ზრდისათვის წარმოადგენს ხარისხთან და საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. თაფლის ყველა პოტენციური იმპორტიორი საქართველოდან იმპორტის წარმოებას ზღუდავს იმის საფუძველზე, რომ თაფლი ხარისხის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. თუმცა, მთავარ

პრობლემას წარმოადგენს არა ხარისხი, არამედ ის ფაქტი, რომ ქართველ მეწარმეებს არა აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ საექსპორტო თაფლს დაურთონ საჭირო დოკუმენტაცია და მომხმარებელთა უსაფრთხოების სერთიფიკატები.

საქართველოში არ არსებობს საკვების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების

მონიტორინგის სისტემა და თანამედროვე კანონმდებლობა. არ არსებობს, ასევე საკვების უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა, არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები საკვებით მომარაგების სისტემაში, არ ხელმძღვანელობენ და ითვალისწინებენ რისკის ანალიზსა და კრიტიკული კონტროლის მექანიზმებს - HACCP (Hazard Analysis and Critical Control Points), მიკვლევადობის პრინციპებს, ასევე, სათანადოდ არ არის განსაზღვრული და დაკანონებული ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ მოთხოვნები.

ევროკავშირში ექსპორტი აკრძალულია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ე.წ. „მესამე ქვეყნის სიაშია“. სიაში (რეგულაცია No 2012/302/EU) ჩამოთვლილია 38 ქვეყანა, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან, მაგრამ ევროკავშირში თავლის ექსპორტის ნებართვა გააჩნიათ. საქართველო არ არის ნებართვის მქონე ქვეყნების სიაში, რადგან ნებისმიერ აღიარებულ „მესამე ქვეყანას“ უნდა ჰქონდეს შემდგომი მონიტორინგის გეგმა და საერთაშორისო აკრედიტირებული ლაბორატორია, რომელიც თავლის თითოეული ექსპორტირებული პარტიისთვის გასცემს უფლებამოსილი ვეტერინარული სამსახურის მიერ ხელმოწერილ და ბეჭდით დამოწმებულ სათანადო ჯანმრთელობის სერთიფიკატს.

ევროსაბჭოს 2011/110/EC დირექტივებში თავლთან დაკავშირებით მითითებულია: ევროკავშირში საექსპორტო თავლის სახეობის განმარტება-განსაზღვრა, ხარისხის სხვადასხვა კატეგორიები, შემადგენლობა, ეტიკეტირება და მცირე ინფორმაცია, სხვა ინგრედიენტების არსებობა, ფერის განსაზღვრა, ფრუქტოზის რაოდენობა, გლუკოზა, წყალი, ელექტროგამტარობა და ა.შ.

არსებობს რამდენიმე კარგად დასაბუთებული შემთხვევა, როდესაც ევროკავშირმა შეაჩერა თავლის იმპორტი ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გამო. მაგალითად, ჩინური თავლი აკრძალული იყო 2002-2004 წლებში, რადგან მასში აღმოაჩინეს ქლორამფენიკოლი (ანტიბიოტიკის ერთ-ერთი ჯგუფის დასახელება); 2011 წელს, ჩინეთის, არგენტინისა და ჩილეს თავლი დროებით აიკრძალა მასში აღმოჩენილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ყვავილის მტვრის გამო; 2007 წელს აკრძალვა შეეხო ბრაზილიიდან შეტანილ თავლს, რადგან ტესტირების პროცედურებსა და სტანდარტებზე არავითარი შეთანხმება არ იქნა მიღწეული (EC 2013). ამ აკრძალვებს უზარმაზარი ზეგავლენა აქვს საერთაშორისო ბაზარსა და ფასებზე.

შემოთავაზებული და ნაწილობრივ განხორციელებული ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ (DCTFA) საქართველოსა და ევროკავშირის შორის უზრუნველყოფს მხარდაჭერას სანიტარულ და ფიტო-სანიტარულ ზონებში და მხარდაჭერს ღონისძიებებს ლაბორატორიებისთვის, რომლებიც აწარმოებენ თავლის ფიზიკური და ქიმიური თვისებებისა და ხარისხის ანალიზს. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მხოლოდ საწყის ეტაპზეა.

6.2 საექსპორტოდ საჭირო ფიტო-სანიტარული, ჰიგიენური და ხარისხის მოთხოვნები

თაფლის ხარისხი იმერეთში მცხოვრებ მეწარმეებს შორის ფართოდ განხილვადი თემაა. მთავარ საკითხს წარმოადგენს ადგილობრივ და იმპორტირებულ თაფლს შორის შედარება და კონკურენცია. თუმცა, ადგილობრივი თაფლის ხარისხის ეროვნული რეგულირების სტანდარტებისა, თუ კოდექსის გარეშე მათი განხილვები ვერ იქნება ფაქტებით განმტკიცებული და დასაბუთებული.

თაფლის ხარისხთან მიმართებაში ყველაზე სახასიათო პრობლემას (არა მხოლოდ საქართველოში) წარმოადგენს ფალსიფიცირებული თაფლი, რომელიც მიიღება მისთვის, მსგავსი, იაფი ნივთიერების დამატებით, ან დიდი ხნით თერმული დამუშავების შედეგად. თაფლის შერევა შესაძლებელია სიროფთან, შაქართან და წყალთან. პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ხარისხის კონტროლის მექანიზმების გარეშე, ფალსიფიცირებული თაფლი კონკურენციას უწევს ხარისხიან პროდუქტს და ფასს დაბლა სწევს.

მეორეს მხრივ ეროვნულ კანონმდებლობას შეუძლია, გააუმჯობესოს თაფლის ბაზარი და ხარისხის სეგმენტაცია, რასაც შეუძლია ხარისხიანი თაფლის მწარმოებელი მეფუტკრეებისათვის მოგების გაუმჯობესება. მაგალითად, ევროსაბჭოს კანონმდებლობით, თაფლის სახეობები, მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, იყოფა შემდეგ კატეგორიებად: სქელი თაფლი, ნექტარის თაფლი (თაფლის ცვარი), საკონდიტრო თაფლი და ა.შ. ერთი სახეობის ყვავილის თაფლი წარმოადგენს თაფლის ხარისხის თვალსაზრისით სხვა საინტერესო კატეგორიას. ყვავილოვანი მცენარის წარმოშობის მცენარეებს - მანანას, ევკალიპტს, ციტრუსის ყვავილს, მზესუმზირას, აკაციას, ორგანოლექტიკური და ფარმაკო-აქტიური თვისებების გამო, ასევე შეუძლიათ მოგების მოტანა.

თაფლის ხარისხის მოთხოვნებისა და კატეგორიების შესახებ ევროკავშირის განმარტებების ნიმუში მოყვანილია დანართში.

ორგანული თაფლის წარმოება საქართველოში წარმოადგენს კიდევ ერთ დამამიდეებელ კატეგორიას საექსპორტოდ, რადგან თაფლის წარმოება ევროპასა და სხვა ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში მეტად შეზღუდულია ფუტკრის პარაზიტების არსებობისა და დაუბინძურებელი ტერიტორიების სიმცირის გამო. მომხმარებლების მხრიდან სულ უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭება თაფლის ხარისხის, სინამდვილის, გაუმჯობესებული სანიტარული პირობების, კვებითი ღირებულებისათვის, ხელს შეუწყობს ორგანულ თაფლზე მზარდ მოთხოვნას.

7 ექსპლუატაციური მწარმოებლურობა - დამუშავება, გადაადგილება, დაავადებები, ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 თაფლის დამუშავება



სურათი 3 - თაფლის გადასაწური მოწყობილობა ქუთაისის ერთ-ერთ მაღაზიაში

ტექნოლოგიური განვითარება წარმოადგენს პროდუქტიულობისა და შემოსავლის ძირითად ფაქტორს. რაც შეეხება თაფლის დამუშავებას, ფუტკრების მიერ მისი შეგროვების შემდეგ, იგი დამუშავების რამდენიმე საფეხურს გაივლის. იმერეთში თაფლის სხვადასხვა ჭურჭელში გადასასხმელად ძირითადად დაბალი ხარისხის ხელსაწყოებს იყენებენ. მეფუტკრეთა უმრავლესობა თაფლის სკიდან გადასასხმელად ცენტრიდანულ საწურს იყენებს. საწური შიძლება იყოს ხის, ან - ალუმინის. მხოლოდ მცირე რაოდენობის მსხვილმა მეწარმემ (საქართველოში არსებული 15 000 მეფუტკრიდან მხოლოდ 15-მა) შეიძლება გამოიყენოს უქანგავი ფოლადის საწური, რაც ნორმას წარმოადგენს საკვების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების მქონე ქვეყნებში. შემდეგი საფეხურია გაწურვა: თაფლს 30-35C-მდე აცხელებენ, შემდეგ საწურში ფილტრავენ (ზადის უჯრედის ზომა 0.8-დან 1 მმ- მდე), ან ცილინდრულ საცერში (0.4-დან 0.5 მმ-მდე).

ცვილის ნაწილაკებს და სხვა ნივთიერებებს (მაგ. ფუტკრის და პროპოლისის ნაწილაკები, ხის ნაფოტები და ა.შ.) აცილებენ. შემდეგ მოსდევს ნალექისგან გაფილტვრის პროცესი: თაფლს ათავსებენ დასალექ ჭურჭელში, აჩერებენ 25 გრადუსზე იმგვარად, ასეთ პირობებში წარმოიქმნება ჰაერის ბუშტუკები, ცვილი და

სხვა ნაწილაკები (ყვავილის მტკრის გარდა) ზედაპირზე ადის. თაფლი დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში 15 გრადუსზე ინახება დასალექად. შემდეგ შესაძლებელია თაფლის სხვა ჭურჭელში გადაღება, ძირითადად სატუმბით ამოღება და კონტეინერებში გადანაწილება. რესპოდენტების განხილვებით, უმარტივესი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენების შემთხვევაშიც კი თაფლის დამუშავება ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მარტივი ტექნოლოგიები ადამიანის დიდ შრომას საჭიროებს. გარდა ამისა, დამუშავებული პროდუქციის დისტრიბუცია მაღალ გადასახადებს გულისხმობს, რაც მეწარმეთათვის დაბალ შემოსავალს და მოგებას ნიშნავს.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

გაუმჯობესებული ტრანსპორტის საშუალებებზე წვდომა წარმოადგენს უდიდეს საჭიროებას და გამოწვევას, რაც მონაცემების შეგროვების დროს გამოვლინდა. დაბლობებიდან, სადაც ზამთარში ინახება, სკების ტრანსპორტირება და გადატანა ზაფხულში ხდება მთებში. ამის მთავარი მიზეზია მცენარეების ყვავილობა, მათი ხარისხი და მრავალფეროვანი

შემადგენლობა. ფერმერები ტრანსპორტის ბევრ სხვადასხვა საშუალებას იყენებენ, მათ შორის ძველ რუსულ სატვირთოებს და მისაბმელიან ტრაქტორებს. დამუშავების შემდეგ ტრანსპორტირება უდიდეს შრომას მოითხოვს. ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემის გამო, თითო ფერმერი დამატებით ქირაობს 6-7 მუშახელს, რომლებიც შესაძლებელია, მისი მეზობლები, ან ნათესავები იყვნენ.

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები



სურათი 4 - ხელსაწყოები და მედიკამენტები, რომლებსაც ფერმერები ფუტკრის ჯგუფების დასაცავად და სამკურნალოდ იყენებენ.

მეფუტკრეებისთვის ძირითად საფრთხეებს შორის არის ჯანმრთელობის საკითხი მთელს მსოფლიოში. მაგ. ფუტკრის ჯგუფების სწრაფი და დიდი ოდენობით გაწყდომა საფრთხეს უქმნის ევროპაში წარმოების სისტემის მდგრადობას. საქართველოში დაბალი ინტენსივობისა, ზოგადად ნაკლები ინფორმირებულობისა და ბუნებრივი სუფთა გარემოს წყალობით, ფუტკრის ჯგუფების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით დისკუსიების წარმოება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

მხოლოდ მსხვილი და მეტი ინტენსივობის ფერმერები აცნობიერებენ დაავადებების გავრცელების

პოტენციურად მაღალ საფრთხეს. მაგალითად, არსებობს დიდი რაოდენობით ვირუსები, რომლითაც ფუტკრები ავადდებიან. ამჟამად, კარგად გამოკვლეულ და პოტენციურად პრობლემატურ ვირუსებს წარმოადგენს დეფორმირებული ფრთიანი ვირუსი -

Deformed Wing Virus (DWV), შავი დედა ფუტკრის უჯრედული ვირუსი - Black Queen Cell virus (BQCV), ისრაელის მწვავე პარალიზებადი ვირუსი Israel Acute Paralysis Virus (IAPV). ვირუსების შემდეგ, გამანადგურებელი ტკიპის სახეობა - Mite Varroa Destructor უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს, რადგან მოცემულ პირობებში - სამეცნიერო ცოდნისა და მედიცინის შესაძლებლობების თვალსაზრისით, იგი აღმოუფხვრელ პრობლემაა (EC, 2013). Nosema apis, Nosema ceranae fungi და Acapis woodi წარმოადგენს კიდევ სამ ბიოლოგიურ საფრთხეს, რომლებსაც ყველაზე ხშირად ასახელებენ. ამერიკულ foulbrood (AFB) და ევროპულ foulbrood (EFB) დაავადებებს იწვევს სოკოს სპორები და ფუტკრის გუნდისთვის ყველაზე საშიში, გამანადგურებელი დაავადებებია. EFB-ს მკურნალობა შესაძლებელია ანტიბიოტიკებით. AFB უფრო საშიშია და იწვევს დასნებოვნებული ფუტკრის ჯგუფების გაწყვეტას. ზოგი ბიოლოგიური საფრთხე, როგორცაა აზიური - *Vespa velutina*, რომელიც ევროპაში ფუტკრის ახალ საფრთხეს წარმოადგენს, საქართველოში კვლავ უცნობია.

მთავრობის მხრიდან არ არსებობს პარაზიტული და სხვა ვირუსული დაავადებების

კოორდინირებული კონტროლი. ფერმერები თვითონ ცდილობენ დაავადებების გაკონტროლებას, ან მათ მედიკამენტებით მკურნალობას, რაც დამატებით დიდ ხარჯებს გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მათ ხშირად აღნიშნეს, რომ პრობლემას წარმოადგენს სპეციფიკური ცოდნისა და ეფექტურ მედიკამენტებზე წვდომის ნაკლებობა.

კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც აღნიშნულ სექტორს აუსტებს, არის ის, რომ ფუტკრის დაავადებათა სათანადო და დროული მკურნალობის ხარჯები იმდენად გაიზარდა, რომ შესაძლოა, მეფუტკრეობიდან მთელი წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილს შეადგენდეს. გარდა ამისა, საქართველოში არსებული ზოგიერთი დაბალი ხარისხის მედიკამენტი და ქიმიკალი შესაძლებელია საბოლოოდ თაფლში და მის სხვა პროდუქტში ნარჩენებად დაილექოს.

საქართველოში მეფუტკრეობის პოტენციურად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თაფლი უჩვეულოდ სენსიტიურია ქიმიური ინსექტიციდების (მწერების საწინააღმდეგო საშუალების) მიმართ. სოფლის მეურნეობისა და მეფუტკრეობის პესტიციდები ლილოფილურია (სქელი კონსისტენციის ნივთიერებაში ხსნადობა) და ცვილში გროვდება, მსწრაფლ ანადგურებს ფიჭას, სადაც ფუტკრები ბუდობენ და თაფლი წარმოიქმნება. კერძოდ, სამი ცნობილი ნეონიკოტინოიდური ინსექტიციდი არის მიჩნეული ყველაზე საფრთხისშემცველი ფუტკრებისა და დამტვერავებისთვის - clothianidin, imidacropid და thiamtethoxam, მარცვლების, ან გრანულების მეშვეობით სამკურნალო (EFSA 2014). მკა და მიწის დამუშავება ემატება ფუტკრის ჯგუფებთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს. ამიტომ, ინტენსიური მეურნეობისა და ქიმიკალების ნაკლებობის გამო მეფუტკრეობას ექმნება ახალი შესაძლებლობები საქართველოში.

8 მომარაგების ქსელის მენეჯმენტი - პროდუქციის მიწოდება და ინფორმაცია მომარაგების ქსელში

იმერეთში თაფლის მწარმოებლური ქსელი ძალზე მცირეა. მასში გაერთიანებულნი არ არიან დომინანტი მეწილეები, რომლებიც გააკონტროლებდნენ, ან მართავდნენ ქსელს. ნაცვლად ამისა, აღნიშნული სისტემა პერსონალურ კონტაქტებს ემყარება. თუმცა ამგვარი კონტაქტები არარეგულარულია და ემყარება ძველი დროის ადჰოკრატის (მოქნილი და არაფორმალური მართვის ფორმა) მყიდველების მხრიდან. არ არსებობს არავითარი კონტრაქტი, ან შეთანხმება, რომელიც სავაჭრო პირობებს ასახავს.

გრძელვადიანი და ფორმალური ვალდებულებების არარსებობა, ასევე, წარმოადგენს მიზეზს იმისა, რომ ცოდნისა და ინოვაციების გავრცელება მომარაგების ქსელში მეტისმეტად შეზღუდულია.

9 სოციალური კაპიტალი, ადამიანური რესურსები, გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know-how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

მეფუტკრეობის ტექნოლოგია იმერეთისა და რაჭის რეგიონებში, როგორც წესი მემკვიდრეობით გადაეცემა. მხოლოდ და მხოლოდ მცირე რაოდენობის მეფუტკრეებს აქვთ მიღებული განათლება ტრენინგებიდან ან სხვა წყაროებიდან.

სამწუხაროდ დარგში არ არსებობს ტრენინგებისა და განათლების მიღების ორგანიზებული ფორმა. გამონაკლისს წარმოადგენენ, მეფუტკრეები რომლებიც არიან მეფუტკრეთა ასოციაციის წევრები, რომელთაც აქვთ ტრენინგებზე დასწრებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა. თუმცა რესპოდენტთა ნაწილმა განაცხადა რომ ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები გამოსადეგია მხოლოდ და მხოლოდ დამწყები ფერმერებისთვის, რომელთაც საბაზო ცოდნით უწრუნველყოფს. შესაბამისად დიდი ზომის ფერმერების უმეტესობა ინფორმაციის მირების მიზნით იყენებს ინტერნეტ რესურსებს. შესაბამისად მათ მიერ მიღებული ინფორმაცია ხშირად არასრულია ან არ შეესაბამება მათ საჭიროებებს.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობები

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებობს მხოლოდ სამი კოლეჯი რომლებიც სთავაზობენ მეფუტკრეობის კურსს. თითოეული კურსის ხანგრძლივობა არის 9 კვირა.

- წინამძღვრიშვილის, პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ცენტრი (მცხეთის მუნიციპალიტეტი)
- კაჭრეთის პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ცენტრი (კაჭრეთი გურჯაანის მუნიციპალიტეტი)
- ქონულეთის პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ცენტრი (რუსთაველის ქუჩა, ქობულეთი)

9.3 სოციალური კაპიტალი და თანამშრომლობა

მეფუტკრეობაში სოციალური კაპიტალის მიმოქცევა ძალიან დაბალია. არ არსებობს ოფიციალური თუ რეგისტრირებული ჯგუფი ან ოფიციალური კოოპერაცია რომელიც თავლს აწარმოებს. მეფუტკრეობა რჩება ინდივიდუალურ საქმიანობად, რომელიც ამცირებს კოოპერაციების შექმნის შესაძლებლობას. თუმცა, არსებობს რამოდენიმე არაფორმალური ფერმერთა დაჯგუფება, რომლებიც თანამშრომლობენ ძირითადად სკების და ფუტკრის ტრანსპორტირებაში. ზოგიერთი მეწარმე ერთმანეთთან თანამშრომლობს წარმოებისათვის საჭირო ნივთების, მაგალითად მედიკამენტებისა თუ ხის ჩარჩოების შექმნა - გაზიარებაში. როგორც წესი, უფრო დიდი მეფუტკრეები ერთმანეთთან არაფორმალურად თანამშრომლობენ ვაქცინების შექმნასა და თავლისა თუ ფუტკრის სკების ტრანსპორტირებაში. ფერმერთა უმრავლესობა ერთმანეთს უზიარებს ინფორმაციას ან საინფორმაციო მასალებს რათა ერთობლივად გაზარდონ ამ სფეროს ტექნიკური ცოდნა,

გახადონ შესაძლებელი გაუმჯობესდეს სანიტარული პრაქტიკა და შეამცირონ ფუტკრების დანაკარგი. რეგიონში სხვა მეფუტკრეები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას წარმოების მიმდინარე პროცესებსა და ეტიკეტირებაზე.

10 ინსტიტუციები და ბიზნეს გარემო

10.1 ბიზნეს გარემო

საქართველოში არის თავლის მწარმოებელთა 4 ორგანიზაცია. იმერეთში ყველაზე გავლენიანია ქართველ პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაცია (www.bestbee.ge), რომელიც 1999 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია: მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მეფუტკრეობის განვითარებას, დაეხმაროს მეფუტკრე ფერმერებს, უზრუნველყოს ისინი სხვადასხვა ტექნოლოგიების გასაცნობი ინფორმაციით, ასევე, დაეხმარონ მაღალი ხარისხის აპარატურისა და მოწყობილობების მოძიებაში. მასში გაერთიანებულია დაახლოებით 200 არაოფიციალური წევრი. მხოლოდ 60-70 მათგანია ფორმალურად რეგისტრირებული, რომლებიც რეგულარულად იხდიან საწევრო გადასახადს. ასოციაცია ნაწილობრივ ფინანსდება USAID-ის მიერ (მაგ. თანხები იხარჯება წევრების ბიულეტენებზე). სექტემბრიდან აპრილამდე, ასოციაციის ინსტრუქტორები (გამოცდილების მქონე კომპეტენტური წევრები) ტრენინგებს ყოველ თვე აწყობენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. გარდა ამისა, ასოციაცია ატარებს კონსულტაციებს და ორგანიზებას უკეთებს მედიკამენტების ერთობლივად შეძენას, რა დროსაც, მოლაპარაკების შემთხვევაში, შესაძლებელია ბითუმად მოვაჭრეებისგან 20 %-იანი ფასდაკლებით სარგებლობა. იგი ასევე, ბითუმად ყიდის, რამდენიმე ლარით იაფად, ვიდრე ჩვეულებრივი ბაზრის ფასია.

რაც შეეხება საადვოკატო და ლობისტურ საქმიანობას, წევრები ასოციაციის სახელით თანამშრომლობენ და მონაწილეობენ თავლის წარმოების შესახებ ეროვნული საკანონმდებლო კოდექსის შემუშავებაში (რაც ჯერ კიდევ არ არის მზად), რასაც შეუძლია ხარისხის სტანდარტებისა და ზოგადი სიტუაციის გაუმჯობესება აღნიშნულ სექტორში. ამჟამად მიმდინარეობს განხილვა, საჭიროა თუ არა კანონმდებლობის ცალკეული ნაწილი, ან საკმარისი იქნებოდა თუ არა ზოგად ვეტერინარულ კოდექსში არსებული მუხლი.

4 ასოციაციიდან არცერთი მათგანი არ ისახავს მიზნად ხარისხის ნიშნის შექმნას, რაც მეფუტკრეთა ასოციაციებისთვის საყოველთაო საბაზრო ტაქტიკას წარმოადგენს. მთავარ მიზეზი შესაძლებლობებისა და რესურსების უქონლობაა.

10.2 მთავრობის მხარდაჭერა

არ არსებობს მთავრობის რაიმე დახმარება - დაწყებული საკანონმდებლო და რეგულაციური მხარდაჭერით, ტრენინგებითა და ფინანსებით, დამთავრებული სახელმწიფო ლაბორატორიის სერვისებზე წვდომით. როგორც ზემოთ იქნა განხილული, ფერმერები, უმთავრესად, დააფასებენ და მიესალმებიან, სანიტარული და ფიტო-სანიტარული ხარისხის შესამოწმებლად, მათი პროდუქტის საერთაშორისო აკრედიტებულ ლაბორატორიაში ტესტირების შესაძლებლობას, რაც მათ უზრუნველყოფს საჭირო ხარისხის სერთიფიკატით. გარდა ამისა, ისინი მოითხოვენ შეიზღუდოს დაბალი ხარისხის თავლის ირანიდან

იმპორტირებას.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 (SWOT)

<p>S</p> <ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი გზით წარმოება დაბინძურების დაბალი რისკის მქონე გარემოში • სიცოცხლისუნარიანი და პროდუქტიული თაფლის მწარმოებელი ფუტკრის ადგილობრივი ჯიში (სახეობა) • მეფუტკრეობის დიდი ხნის ტრადიცია 	<p>W</p> <ul style="list-style-type: none"> • დაბალი პროდუქტიულობა და მაღალი ფასი • მეფუტკრეობის მხოლოდ ძირითადი მენეჯმენტი და ფუტკრის ჯგუფების არასათანადო სანიტარული მოვლა, ან მკურნალობა. • არ არსებობს არავითარი საერთაშორისო აკრედიტებული ლაბორატორია სერტიფიკატის გასაცემად • ნაკლებად განვითარებული ადგილობრივი ბაზარი და მომხმარებლების არასათანადო ინფორმირებულობა • ეროვნული მხარდაჭერის, მონიტორინგის სისტემებისა და გამოყენებული კვლევის ნაკლებობა
<p>O</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკურენტული ფასი მეზობელ ქვეყნებში საექსპორტოდ • ადგილობრივი ბაზრის აუთვისებელი პოტენციალი • ფერმერების ურთიერთ თანამშრომლობა საქონლის ყიდვის, პროდუქციის დამუშავების, მარკეტინგისა და ბითუმად ვაჭრობის საკითხებში • ორგანული თაფლის ექსპორტის პოტენციალი 	<p>T</p> <ul style="list-style-type: none"> • იმპორტირებული დაბალი ხარისხის თაფლის კონკურენტუნარიანობა, მთავრობის მხრიდან არარსებული ხარისხის კონტროლის გამო • ფუტკრის დაავადებათა გაუკონტროლებლობა, ბიოლოგიური და გარემოსდაცვითი საფრთხეები • თურქეთსა და აზერბაიჯანში დიდი რაოდენობით თაფლის ექსპორტი ლეგალური ხასიათი

11.1 თაფლის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესების პოტენციალი

თანამედროვე, აკრედიტირებული ლაბორატორიის შექმნა - მნიშვნელოვანია შეიქმნას საერთაშორისო აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც შეამოწმებს ადგილობრივი პროდუქციის ხარისხს და გასცემს შესაბამის სერტიფიკატს;

თანამედროვე ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ზრდა - სასურველია თანამედროვე მექანიზაციის საშუალებების გამოყენება დარგში, რათა შემცირდეს შრომატევადობა და ფერმერებს მიეცეთ შესაძლებლობა გაზარდონ წარმოების მოცულობა;

კოპერატივების განვითარება - კოოპერირების განვითარება დარგში, რათა გაიზარდოს

წარმოების მოცულობა, მოხდეს ერთგვაროვანი პროდუქციის მიღება და მსხვილი კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილება;

თანამედროვე ცოდნაზე ხელმისაწვდომობა - მეფუტკრეთა უზრუნველყოფა თანამედროვე ცოდნით, კერძოდ მათთვის ინფორმაციის მიწოდება ფუტკრის მოვლისა და მკურნალობის შესახებ;

კოლექტორი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა - მცირე ზომის საწარმოების შექმნა, რომლებიც მცირე ფერმერებისაგან ჩაიბარებენ თავლს, მოახდენენ მის დაფასობას, ეტიკეტირებას და რეალიზაციას ბაზარზე.

12 ბიბლიოგრაფია

- FAO. 2014. FAOSTAT. ფაო (FAO), რომი
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო. 2014. GeoStat: <http://geostat.ge/index.php?lang=eng>
- მეფუტკრეთა განვითარებისთვის 2014. (on-line). Available from: <http://www.beesfordevelopment.org>
- Simon GP, Stuart P, Roberts M, Dean R., Marris G., Brown MA, Jones R, Neumann P and Settele J. 2009. Declines of managed honey bees and beekeepers in Europe.
- EFSA. 2014. EFSA identifies risks to bees from neonicotinoids. (on-line) Available from: <http://www.efsa.europa.eu/en/press/news/130116.htm>
- Corso M. 2013. Georgia Offers a Super Bee to Help Ailing American Bees. (on-line) Available